პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 აგვისტო შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 178 (14782)

მოგილოცავთ ახალ წარმატებას, სოფლის მშრომელებო!

ახლოა სასწავლო წელი

ცპკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება პარტიის XXIV ყრილობის მოწვევის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ“ ის ახალი ისტორიული დოკუმენტებია, რომელიც მშრომელთა კოლექტივებს, ყოველ მშრომელს აღაფრთოვანებს შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღშენებისათვის.

იუბილესათვის მზადება, მისწრაფება, რომ ახალ სახელოვან გამარჯვებებს მიაღწიონ კომუნისტურ მშენებლობაში, განსაკუთრებულად აღფრთოვანებს სკოლის მშენებლებსაც. ეს გასაგებიც არის — ყოველი დღე გვაახლოებს სასწავლო წლის დაწყებას, 1 სექტემბერს, და, ბუნებრივია, ამ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

იმ რთული და მრავალდარგოვანი კომპლექსიდან, რასაც ახალი სასწავლო წლისათვის მზადება წარმოადგენს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სასკოლო მშენებლობა. საქართველოს მუდამ მოწინავე პოზიციები ეკავა სასკოლო მშენებლობის ფრონტზე, ამაღლებდა მშენებლობის ტემპს და აფართოებდა მის ჭერს. ამის საილუსტრაციოდ ერთი ფაქტიც საკმარისია: — თუ 1959 წელს სასკოლო და სბავშვო დაწესებულებათა მშენებლობაზე გამოყოფილი იყო 3.970 ათასი მანეთი, ეს თანხა 1970 წლისათვის სამნახევარჯერ გაიზარდა და შეადგენს 13.900 ათას მანეთს. მარტო კაპიტალდაბანდებათა ხაზით განათლების ობიექტების მშენებლობას მოხმარდება 8,8 მილიონი მანეთი.

1 სექტემბრისათვის საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში უნდა აშენდეს 62 სასკოლო შენობა, რაც 22 ათასით გაზრდის მოსწავლეთა ადგილს რესპუბლიკაში. შენდება აგრეთვე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა 30 დაწესებულება, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები. ფართოდ არის გაჩაღებული საინიციატივო მშენებლობა, წლითიწლობით იზრდება იმ სკოლების რიცხვი, რომლებსაც საკუთარი სახსრებით აშენებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები.

მიუხედავად ამისა, სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა მატერიალური ბაზა არ შეესაბამება მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდას და კვლავ დიდი იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც მეორე და მესამე ცვლაში, ავრეთვე დაჭირავებულ და ავარიულ სასკოლო შენობებში მეცადინეობენ.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება როგორც სასკოლო მშენებლობის მიმდინარე წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა, ისე საინიციატივო სასკოლო მშენებლობა. ზოგიერთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, საწარმო-დაწესებულება და ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ვერ ასრულებს სკოლის საინიციატივო მშენებლობის ხაზით ნაკისრ ვალდებულებებს. წინასაუბნელო წელს ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა განსაკუთრებით არასაპატიოა და იგი მოითხოვს მშენებელთა ძალების გადასინჯვას, რეზერვების, მთელ შესაძლებლობათა გამოყენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია გეგმის შესრულება. რესპუბლიკა კი წელს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოთაგან მოელის ხაკლასო ოთახების 16.500 ბავშვისათვის, ხოლო სამი წლის მანძილზე, იმავე სახსრებით, უნდა აშენდეს 323 სასკოლო შენობა 72.700 მოსწავლის ადგილით.

სასკოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ რომ ვლაპარაკობთ, ღრმად უნდა გვქონდეს შეგნებული სახალხო განათლების შემდგომ გაუმჯობესებაზე მისი უაღრესად ცხოველმყოფელი გავლენა. სწორედ გაშლილ სასკოლო მშენებლობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ, მაგალითად, გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკაში გაიხსნა 19 ახალი საშუალო სკოლა, 35 რვაწლიანი სკოლა ეროგანიზებულია საშუალო სკოლად, 21 დაწყებითი სკოლა — რვაწლიან სკოლად.

1970-1971 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა წარმატებით მომზადების მიზნით, სასკოლო მშენებლობის ფართოდ და მაღალხარისხოვნად გაჩაღებასთან ერთად, მრავალი დიდმნიშვნელოვანი საკითხია მოსაგვარებელი. ამ საშუაოთა მიმდინარეობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის პარტიულ ორგანოებთან ერთად ადგილებზე არსებობს სპეციალური კომისიები მშრომელთა დეპუტატების საკალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ახლა მთავარია თვითეული ობიექტის მშენებლობის დამთავრება დაწესებულ ვადებში, სასკოლო რემონტის, ინვენტარის შეკეთების, ეზოების კეთილმოწყობის, ბიბლიოთეკების საჭირო ლიტერატურითა და კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების ხელსაწყო-იარაღებით შევსება-აღჭურვის სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულება მიმდინარე წლის 15 აგვისტოსათვის. ამის მიუხედავად ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ ხარვეზებს. კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სარემონტო-სამშენებლო კანტორები აჭიანურებენ სკოლის შენობათა კაპიტალურ რემონტს, დაბალია შესრულებული სამუშაოების ხარისხიც.

სამწუხაროა ფაქტი, და რედაქციასაც სისტემატურად მოსდის სიგნალები ამის შესახებ, რომ ჩამორჩება სოფლად მომუშავე მასწავლებელთათვის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების გეგმით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. რედაქციაში შემოსული უარრავი შეკითხვიდან ნათელია, რომ ჯერ კიდევ ბევრგან გაურკვეველია ადგილობრივი საბჭოების მოვალეობანი ჩასულ მასწავლებელთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში, ან გარკვეულია, მაგრამ, არ ასრულებენ მთავრობის შესაბამისი დადგენილებებით სოფლად მომუშავე ჩასული მასწავლებლების მომსახურებისათვის გათვალისწინებულ მოვალეობებს. მასწავლებლებს უნდა შეექმნათ შრომისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები; უნდა დაწესდეს კონტროლი მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისადმი და უზრუნველყონ მათი დროულად გადაცემა საექსპლოატაციოდ.

მომავალი სასწავლო წელი განსაკუთრებულია ჩვენს სკოლებში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების თვალსაზრისით. ეს კი ბევრად დამოკიდებულია საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის წარმატებით შესრულების ქმედით ღონისძიებათა განხორციელებაზე. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებას სერიოზულ სიძნელეებს უქმნის სასკოლო ინტერნატების ქსელის სიმცირე; ბევრ სასკოლო ინტერნატში კი მოსწავლეთათვის შექმნილი არ არის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები. ამიტომაც არის საჭირო სასკოლო ქსელის გაფართოების იმ ვარაუდით წარმოება, რომ საყოველთაო ათწლიანი სწავლებისათვის სათანადო პირობები შეიქმნას.

წინ დიდი სამუშაო გვიდგას. დრო კი ცოტა დარჩა — ერთი თვე და უფრო ნაკლებიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლები უკვე 20 აგვისტოსათვის ყოველმხრივ მომზადებული უნდა იყოს — მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებითაც, სასკოლო სახელმძღვანელოებითა და პროგრამებითაც, უველაფრით, რაც საჭიროა 1 სექტემბერს ზარის დასარეკად და კლასებში ნორმალური მეცადინეობის დასაწყებად.

დიდია სახელმწიფოს ზრუნვა სახალხო განათლებისათვის. პარტია, მთავრობა, ხალხი შეობლიურად სითბოთი ეკიდებიან სკოლას, ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს და არაფერს არ იშურებენ მისთვის.

ამ ზრუნვას კი ჯეროვნად უნდა ვუპასუხოთ — არც ჩვენ დავიშუროთ არაფერი იმისათვის, რომ სკოლაზე პარტიისა და მთავრობის, ხალხის მიერ გაწეული ზრუნვა გავამართლოთ, უველაფერი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, გავაკეთოთ იმისათვის, რომ ახალი სასწავლო წელი უველგან ნორმალურად იქნას დაწყებული.

მომავალი სასწავლო წელი ემთხვევა იმ ღირსსახსოვარ პერიოდს, როდესაც მთელი ქართველი ხალხი ემზადება რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის. სკოლის მშენებლები, სახალხო განათლების მუშაკები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები უველაფერს უნდა აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩვენს ბედნიერ მოსწავლე ახალგაზრდებს, მოსწავლეთა თითქმის მილიონიან არმიას სკოლაში მეცადინეობის ნორმალური პირობები ჰქონდეს, ხოლო მის აღმზრდელ მასწავლებელთა მრავალათასიან კოლექტივს — ნორმალური მუშაობის პირობები.

ახლოა სასწავლო წელი. როგორ ემზადებით?

საქართველოს სსრ

—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა 1970 წლის გამოფენის მონაწილე



სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამართული სოციალისტური შეჯიბრების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის **საქართველოს სსრ დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა 1970 წლის გამოფენის მონაწილედ.**

გამოფენის მონაწილეებად დამტკიცებული არიან **აჭარის ასსრ, ბათუმის, ქობულეთის, შუახევის, გალის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, უაზბეგის, ხაშურის** რაიონები, 139 კოლმეურნეობა, 23 საბჭოთა მეურნეობა, ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ექვსი ათასზე მეტი მოწინავე.

გამოფენის მონაწილეებს გადაეცემათ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მოწმობები. საუკეთესოთაგან საუკეთესონი დაჯილდოებული იქნებიან დიპლომებითა და მედლებით, მიიღებენ ფულად პრემიებს.

ზედიზედ ოთხი წელიწადია, რაც ჩვენი რესპუბლიკა, როგორც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე, გამოფენის პავილიონებში და სტენდებზე უჩვენებს თავის მიღწევებს სოფლის მეურნეობაში, სოფლის მშრომელების მიერ შემენილ მდიდარ გამოცდილებას.

განაგრძობენ რა ლენინურ შრომითს ვახტს, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ ღირსეული საქმეებით აღნიშნონ პარტიის XXIV ყრილობა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი. (საქდესი).

დიდ დაფასებას—დამკვრელური შრომა

გეასპრეს მეკვენი ნარმატება

სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის ჩვენი რესპუბლიკა კვლავ დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილედ. ეს ჩვენი სოფლის მშრომელთა დიდი პატივი და დამსახურებაა, მათ ისახელეს თავი სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყიდვის გეგმების შესრულებაში.

ვეულოცავთ ჩვენს მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, თვითეულ მშრომელს ამ დიდ წარმატებას. ვეცდებით არც ჩვენ, მრეწველობის მუშაკები, დავრჩეთ ვალში, მეტი დახმარება გავუწიოთ სოფლის მშრომელებს მათს კეთილშობილურ საქმიანობაში.

თქვენი წარმატება ჩვენი წარმატებაც არის.

გ. სახელაშვილი,
თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ჩვენი ნელილი

ჩვენი პარტიის ყრილობისათვის ნაზადების დღეებში საქართველოს მშრომელები ახალ-ახალ წარმატებს აღწევენ.

ჩვენი მეგვანეები დიდად აღფრთოვანა ცნობამ, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეებად დამტკიცებული არიან საქართველოს სსრ და ჩვენი რაიონიც.

ამ დღეებში ბრიგადის წევრები თავს დასტრიალებენ ველს. გადაწყვეტილი აქვთ საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 80 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 54 ცენტნერისა. ეს იქნება ჩვენი წვლილი პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრაში.

ნ. ქევსიშვილი,
თელავის რაიონის ეკურის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

პატივი ღა ვოვალეობა

დიდია სოფლის მეურნეობის აღმავლობაში რესპუბლიკის მშრომელთა წარმატების დაფასება, საამაოა, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილენი გავხდით. ამასთან დიდი და პასუხსაგებია ის მოვალეობა, რასაც გვაკისრებს მონიშნებული პატივი.

არა მარტო სოფლის მშრომელნი, არამედ ჩვენი მეცნიერებაც იღვწიან სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. მეცნიერთა გამოცდილება თვალსაჩინოა, და ეგი კვლავაც უნდა ვზარდოთ და ვფაართოოთ.

ვ. შხვაცაბაია,
ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდისათვის საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მიდის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების ხელმძღვანელი მუშაკების, პოლიტმომხსენებლების, ლექტორების, მეცნიერების დიდი ჯგუფი.

31 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში ადგილებზე წამსვლელთათვის გაიმართა საინსტრუქციო თათბირი. თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. ბოგიჩაიშვილმა.

საინსტრუქციო მოხსენება — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ი. ჭანუყვაძემ. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ინფორმაციის დღე

30 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ინფორმაციის მორიგი დღე.

ინფორმაცია რესპუბლიკაში რელიგიისა და ეკლესიის ზოგიერთი საკითხის შესახებ გააკეთა საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საბჭოს რწმუნებულმა **დ. შალუტაშვილმა.**

საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვით გამოვიდა საერთაშორისო საკითხების ლექტორი **ლ. მატარაძე.** (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. შალვა დავითის-ძე **კიკნაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

31 ივლისს გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხანაგი **შ. დ. კიკნაძე** გაათავისუფლა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

პლენუმმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ და პრეზიდიუმის წევრად აირჩია ამხანაგი **თ. ი. მოსაშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ამხ. პ. ა. როდონოვი.**

(საქდესი).

საქკავშირო შეჯიბრების გამარჯვებულნი

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიამ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა რკინიგზელის საკავშირო დღის წინ შეაჯამეს 1970 წლის მეორე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების კოლექტივმა, რომელმაც გასულ კვარტალში გეგმის გადამეტებით დატვირთა და გაგზავნა ყველაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი და ამასთან დამატებითი დატვირთვისათვის გაათავისუფლა სამჯერ მეტი ვაგონი, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული, მოიპოვა პირველი ადგილი და სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ასეთივე ჩილდო წლიდან ხვდა ლენინაკანის სალოკომოტივო დეპოსა და ერევნის რკინიგზის განყოფილების კოლექტივებს მიენიჭათ მეორე პრემიები.

ნაკლოვანი — 1-ის სადგურის, საგზაო სამშენებლო ტრესტის, ლენინაკანის საგაგონო დეპოსა და ერევნის სადგურის მშრომელებს მიენიჭათ მესამე ფულადი პრემიები. (საქდესი).

მადლობა მილოცვისათვის

არბბშა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბამალ აბდელ ნასერმა ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნა საპასუხო დეპეშა, რომელშიც დიდი მადლობა გადაუხადა იმ ვრძნობებისათვის, რაც გამოხატული იყო საბჭოთა ხელმძღვანელების მისალმებაში 23 ივლისის რევოლუციის 18 წლისთავის გამო.

სიხარულით გადმოგცემთ, ნათქვამია დეპეშაში, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხის სიყვარულსა და მადლობას მეგობარი საბჭოთა ხალხისადმი გულწრფელი მეგობრობისა და დახმარებისათვის იმპერიალიზმისა და სიონიზმის ძალების წინააღმდეგ, არაბი ხალხის უფლებებისათვის ბრძოლაში.

ჩვენმა უკანასკნელმა მოლაპარაკებამ მოსკოვში დაადასტურა ჩვენს ქვეყნებს შორის ნაყოფიერი და კონსტრუქციული თანამშრომლობა და განმტკიცა ჩვენი ხალხების მყარი და მარადიული მეგობრობა. ვისურვებდით, რომ ჩვენი მეგობრობა ვითარდებოდეს და იფურჩქნებოდეს ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ სამართლიანობაზე დამყარებული მშვიდობის განმტკიცებისათვის.

სიხარულით აღვნიშნავ, ნათქვამია შემდეგ დეპეშაში, რომ დამთავრდა ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობა, რომელიც არის და მუდამ იქნება საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობის სიმბოლო და მსოფლიოს ხალხთა მეიდრო თანამშრომლობის სიმბოლო, რომელიც ადასტურებს საბჭოთა კავშირის ქმედით როლსა და დახმარებას განთავისუფლების გზაზე დამდგარი ხალხებისადმი მათი პროგრესისა და განვითარების საკეთილდღეოდ. (საკდესი).

მეგობრობა მტკიცდება

არბბშა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარემ გამალ აბდელ ნასერმა ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს ნ. ვ. პოდგორნის, და ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

— ბედნიერი ვარ გაუწყოთ, რომ არაბთა სოციალისტური კავშირის ეროვნული კონგრესის მეოთხე სესიამ ერთსულოვნად მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება ეროვნული კონგრესის სახელით, რომელიც ჩვენი ხალხის მთელი მშრომელი მასების წარმომადგენელია, დიდი მადლობა გადაიხადოთ პირადად თქვენ, მეგობრებო, მეგობარი საბჭოთა კავშირის შთაგრობასა და ხალხს თქვენი სამართლიანი პოზიციისათვის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის საკითხში, თქვენი გულწრფელი მხარდაჭერისა და ეფექტიანი დახმარებისათვის, რაც გაუწიეთ ჩვენი ერის ბრძოლას და მის კანონიერ უფლებას — წინააღუდგეს იმ ძალების ეგოიზმს, რომლებიც ცდილობენ მსოფლიოში დამყარონ სიონისტური, რასისტული ბატონობა.

ეროვნული კონგრესის მე-4 სესიის მიერ მიღებულ განცხადებაში მაღალი შეფასება აქვს მიცემული იმ კეთილშობილურ როლს, რომელსაც ასრულებდა და კვლავაც ასრულებს დიდი საბჭოთა კავშირი ჩვენი შეიარაღებული ძალების განმტკიცებისა და ეროვნულების საქმეში, ჩვენთვის ეკონომიური დახმარების გაწევაში, რათა გავუძლოთ აგრესიას და ძალადობას.

ამ განცხადების, აგრეთვე იმ განცხადებების გარდა, რომლებიც ეროვნულმა კონგრესმა წინა სესიებზე მიიღო და რომლებშიც დადასტურებულია ჩვენს ქვეყნებს შორის მტკიცე მეგობრობა, მხურვალე მოწონებულია ჩვენი ხალხების ძმური, მეგობრული და გულწრფელი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება, ეროვნული კონგრესის წევრებმა და მისმა ხელმძღვანელობამ მიიღეს გადაწყვეტილება სპეციალური დეპეშა / გამოეგზავნათ და მასში გამოეხატათ ის გრძნობები, რომლებითაც გამსჭვალული არიან პირადად თქვენს მიმართ, მეგობრებო, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ხალხის მიმართ, რომლის მეგობრობით ვამაყობთ.

ინფორმაციის დღე

30 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ინფორმაციის მორიგი დღე.

ინფორმაცია რესპუბლიკაში რელიგიისა და ეკლესიის ზოგიერთი საკითხის შესახებ გააკეთა საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საბჭოს რწმუნებულმა **დ. შალუტაშვილმა.**

საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვით გამოვიდა საერთაშორისო საკითხების ლექტორი **ლ. მატარაძე.** (საქდესი).

სერიოზული გაფრთხილება

საოლქო პარტიული აქტივის კრებაზე

უკანასკნელ წლებში აფხაზეთის სოფლის მეურნეობამ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია. ბუფნლდის განვლილ ოთხ წელიწადში სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 12.450 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 5.528 ტონა ციტრუსოვანთა ნაუოფი, 20.271 ცენტნერი ბორცი, 6.726 ცენტნერი რძე, 4,8 მილიონი ცალი კვერცხი, მეჩიიებმა უკვე 29 ივნისისათვის შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ბუფნლიანი დავალება და ვაჭდებულება იკისრეს ხეზონის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 15 ათასი ტონა ნედლეული.

ეს ციფრები მოყვანილ იქნა საოლქო პარტიული აქტივის კრებაზე, რომელმაც განიხილა საკითხი „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგები და აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები".

მომხსენებელი — პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახია და კამათის მონაწილე კომუნისტები მიღწევებთან ერთად ხაზს უსვამდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

როგორც ეს სამართლიანად იყო აღნიშნული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის დადგენილებაში, აფხაზეთში განსაკუთრებით ჩამორჩება მეთამბაქოობა. ამ დარგს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბუფდუთის, სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების ბევრ კოლმეურნეობაში. აქ თავმჯდომეობენ საშობი მეურნეობა, ხუსტავი შრომის ორგანიზაცია, ორლეანა თამბაქოს წარმოების აგროტექნიკური ღონისძიებანი.

დაბალია სიმინდის მოსავლიანობაც. შარშან აფხაზეთში ბექტარზე საშუალოდ მიღებულ იქნა 12,9 ცენტნერი მოსავალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20,5 ცენტნერისა. უფრო ნაკლებად მაჩვენებლები ჰქონდათ გულრიფშის, სოხუმისა და გაგრის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებს.

ბევრი კოლმეურნეობა ვერ ასრულებს ყურძნის, ბოსტნეულისა და ეთერზეთოვანი კულტურების როგორც წარმოების, ისე დამზადების გეგმებს.

მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეფექტურად არ იყენებენ ტექნიკას, მინერალურ სასუქებს, შხამქიმიკატებს, რაც ამცირებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, ანელებს პროდუქციის თვითღირებულებას.

აფხაზეთში საგრძნობლად შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორისა და თხის სულადობა. შარშან ხორცის წარმოების გეგმა შესრულდა მხოლოდ 76,3 პროცენტით, რძისა — 82,4 პროცენტით, კვერცხისა — 89 პროცენტით. საზოგადოებრივ მეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად იყენებენ საკვები ბაზის განმტკიცების რეზერვებს, მაღალია პირუტყვის დაცემის პროცენტი.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ამოშრობილი მიწების გამოყენება. 80,8 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას მოჰცეულია მხოლოდ 18,9 ათასი ჰექტარი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სუსტადა არის დაყენებული ეკონომიური მუშაობა. აფხაზეთის ბევრი კოლმეურნეობა, რომელიც შრომის გარანტირებული ანაზღაურებისათვის ბანკის კრედიტებს იღებს, არ ზრუნავს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის, რითაც, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ვარდება.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, დროულად არ ავლინებენ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს.

ჩამორჩენას ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის პრობლემებზე მომუშავე სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაობაში. მეცნიერებმა ჯერ კიდევ ვერ გამოძებნეს მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებანი.

პარტიის რაიონული კომიტეტები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებაში, არასაკმაო მუშაობას ეწევიან სოფლის კომუნისტებსა და ყველა მშრომელში მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის აღსაზრდელად. სერიოზული ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აქტივის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც განსაზღვრულია ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის კონკრეტული გზები.

ი. გოგეჩაია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საქართველოს პროფკავშირთა უმნიშვნელოვანესი ამოცანები

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს X პლენუმი

გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს X პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროების, უწყებების, ტრესტების, საწარმოების ხელმძღვანელები, პროფკავშირთა რაიკომების, საფეხბურთო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები, უშიშროების ტექნიკის მუშაკები.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის შ. დ. კიკნაძის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის, საკავშირო პროფსაბჭოს IX პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები".

კამათში გამოვიდნენ პროფკავშირთა აფხაზეთის საოლქო საბჭოს მდივანი ი. ჭელია, წყალტუბოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ჩაისაკრეფი მანქანის „საქართველოს" მექანიზატორი კ. ლაშხია, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კავკაძე, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი შ. თათარაშვილი, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ლობჟანიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პ. ჟღენტი, მოკუზნის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი მ. ბერიაშვილი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნის ვ. ღოღობერიძის მოხსენება „რესპუბლიკის საწარმოებში, ორგანიზაციებში შრომის დაცვის მდგომარეობისა და ღონისძიებების ღონისძიებანი და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები".

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რვა კაცმა.

ორივე საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ნ. ბასაძის ინფორმაცია საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმებს შორის პერიოდში საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საკავშირო პროფსაბჭოს ეკონომიკის განყოფილების გამგე ვ. შურუევი. (საქდესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

კომუნისტური მშენებლობის სულ უფრო მზარდი მასშტაბები მოითხოვს ფეოდალური კომუნისტის ინიციატივის, აქტივობის, პასუხისმგებლობისა და ავანგარდული როლის შემდგომ ამაღლებას. სწორედ ეს განსაზღვრავს ყოველი პირველადი პარტიული ორგანიზაციის სიმტკიცეს, ბრძოლიუნარიანობას და მზადყოფნას წარმატებით გადაჭრას მის წინაშე მდგომი ამოცანები.

საჩხერის რაიონის პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს 98 პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, რომლებიც სკკპ 2.276 წევრსა და წევრობის კანდიდატს ითვლიან; მათგან მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულია 1.427 კაცი, ანუ 62,6 პროცენტი.

შემოქმედებითად წარმართავს თავის მუშაობას საჩხერის მეგზახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. მასში გაერთიანებული 140 კომუნისტიდან 105 უშუალოდ წარმოებაში მუშაობს. აგრონომებს, ბრიგადებს, მეცხოველეობის ფერმას, ავტოსატრანსპორტო პარკსა და დამხმარე საწარმოებს სათავეში კომუნისტები უდგანან. პირველადი პარტორგანიზაციის მიერ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, პარტიულ დავალებათა სწორად განაწილებისათვის ყოველდღიურმა ზრუნვამ განაპირობა მეურნეობის კოლექტივის დარაზმულობა პროდუქციის სიუხვის შესაქმნელად. შარშან მეურნეობამ გადამეტებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი.

რაიონში ფართოდ არის ცნობილი სახელები მეცხოველე კომუნისტების შოთა დეკანოიძისა და გრიგოლ სადუნიშვილისა, რომლებმაც შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე 2.350 კილოგრამი რძე მიიღეს. სამაგალითოდ მრომობენ კომუნისტი მეექანიზატორები: მიხეილ ფალავანდიშვილი, გოდერძი ჭიღლაძე, ანზი, დავით და ზურაბ დეკანოიძეები.

საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წარმოებაში აგროტექნიკური ღონისძიებათა დანერგვას. კომუნისტმა შოთა ბაზღანის წინადადებით ბაზის სანერგე გადაყვანილ იქნა ქვესწვრიან მავთულზე, რამაც საგრძნობლად გაზარდა ლერწის გამოსავლიანობა. ვაზის დაავადებათა წინააღმდეგ ახალი პრეპარატებისა და სასუქების რაციონალურად გამოყენებით ათასობით მანეთი ეკონომია იქნა მიღებული. საერთოდ კი მეურნეობის კოლექტივმა გასული სამეურნეო წელი 83 ათასი მანეთის მოგებით დამთავრა.

კომუნისტთა აქტივობა წარმატების წყაროა

ხუთშაბათის მოწინავე ხაზზე არიან იტალიელი კოლმეურნეები. კოლმეურნეობას სათავეში უდგას ახალგაზრდა კომუნისტი, უნარიანი ორგანიზატორი ალექსანდრე ჩხეტანიძე. საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებებსა და ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ წარმოების საარსებო საკითხებს, ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას, საბალენ ღონისძიებებს გამოგლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კომუნისტები პირად მაგალითს იძლევიან, № 1 საწარმო ბრიგადას წლეულ მაწყობილზე ხელმძღვანელობს პარტიის რაიონული კომიტეტის წევრი გენადი ძინძიბაძე, რომელმაც ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 105 ცენტნერამდე აიყვანა. მეველენი გოგონებმა, ახალგაზრდა კომუნისტებმა გულნარა და ლენა ძინძიბაძეებმა კი უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

**კოლმეურნეობამ საამაყო შედეგებს მიაღწია სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გეგმების შესრულებაში, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. იტალიელმა მშრომელებმა თავი გამოიჩინეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შრომითს კოლექტივს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ალტაბანდა ეკონომიკური ოლქის, ეროვნული ეკონომიკის ოლქებს, ეროვნული ეკონომიკის ოლქებს, ...

მსოფლიო დღეს

ჩეხოსლოვაკია

მშვიდობიანი განვითარების გზა

პრაღა, 31 ივლისი. (საკდესი). **ევროპის ყველა ხალხთა მისწრაფება თავიდან აეცილებინათ გერმანული მილიტარიზმისა და ნაციზმის აღორძინება აისახა პოტსდამის შეთანხმებაში, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის რადიო პოტსდამის კონფერენციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კომენტარში. პოტსდამის შეთანხმებამ გერმანელ ხალხს დაუსახა მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების გზა.**

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა, ნათქვამია შემდეგ კომენტარში, დაირღვიეს პოტსდამის შეთანხმება. სწორედ მათი შეგნებულებითა და წაქეზებით შეიქმნა დასავლეთ გერმანიის სპეპარატული სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც გახდა ნატოს აგრესიული სამხედრო ბლოკის წევრი. დასავლეთის სახელმწიფოები თავიდან-ვე ცდილობდნენ შეიიარაღებინათ დასავლეთ გერმანია, გადიქციათ იგი ბასტიონად სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განვითარება ომის შემდგომ წლებში ეწინააღმდეგებოდა პოტსდამის შეთანხმების სულისკვეთებასა და შინაარსს.

სხვა კუთხით ვითარდებოდა გერმანიის მეორე ნაწილი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი და მთავრობა, ხაზგასმულია ჩეხოსლოვაკიის რადიოს კომენტარში, თანმიმდევრულად, ასრულებენ პოტსდამის შეთანხმების ყველა დებულებას.

ამერიკის შეერთებული შტატები

ფაქტები ამხილებენ

ვაშინგტონი, 31 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ბ. იაროჩევსკი გვაცნობებს:

სამხრეთ ვიეტნამის სოფელ სონგმის მშვიდობიან მცხოვრებლებს ამერიკელი ჯარისკაცები გაუსწორდნენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გეგმის შესაბამისად, განაცხადა ყოფილმა ამერიკელმა კონგრესმენმა ჩარლზ ველტნერმა.

ველტნერი ამჟამად ერთ-ერთი ლიბერალია, რომელიც მონაწილეობს იმ ამერიკელი ჯარისკაცების ჯგუფის საქმის გამოძიებაში, რომლებმაც ორი წლის წინათ ბულჯრილად დახვრიტეს სონგმის უიარაღო მცხოვრებლები. „ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ქმაყოფილება გამოთქვა სონგმის გამო, — განაცხადა ველტნერმა, — ვინაიდან ამ ოპერაციის შედეგად თითქმის მოსპეს „მტრის აგენტები“.

ველტნერის ეს მტკიცება ნიღაბს ხდის ამერიკის ოფიციალური პროპაგანდის თვალთმაქცობას, რომელიც ძალისა და სახსრებს არ ზოგავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონის ბოროტმოქმედება წარმოედგინა „ერთეულ შემთხვევად“, რომელსაც საერთო არა აქვს რა ომის ხასიათთან და ვიეტნამში ამერიკის მიზნებთან.

ადგილობრივი მიმმხილველები ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ამერიკის პრესაში არაერთგზის გამოჩნდა ცნობები სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ავბედითი საქმიანობის შესახებ, და, კერძოდ, სამხრეთ ვიეტნამში ეგრეთ წოდებული „დაშოშმინების“ პროგრამის შესახებ, რომლის შემადგენელი წაწილია „ოპერაცია ფენიქსი“. როგორც ცნობილია, „ოპერაცია ფენიქსის“ მიზანია ყველა იმათი „ნეიტრალიზაცია“, ვისაც ბრალად ედება „მოწინააღმდეგესთან კავშირი“ ან ოპოზიციაში უდგას ხაგონის რეჟიმს.

ველტნერის განცხადებიდან ჩანს, რომ ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ქალებისა და ბავშვების მხეცური გაჟლეტა, რომელსაც „ბრალად სდებდნენ მოწინააღმდეგესთან კავშირს“, სამხრეთ ვიეტნამის „დაშოშმინების“ პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

ქალის პოლიტიკა ჩაიშალა

ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

რომი, 31 ივლისი. (საკდესი). **ისრაელის მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს, რომ მზად არის მოლიანად შეასრულოს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია, ნათქვამია ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში.**

ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო მოუწოდებს ისრაელის მთავრობას განაცხადოს, რომ ტოვებს ყველა ოკუპირებულ ტერიტორიას და ნიღაბ ცდილობს უარი თქვას ამაზე იმ საბაბით, თითქოს საჭირო იყოს „საიმედო და აღიარებული საზღვრები“. ამით იგი მხოლოდ ცდილობს შენიღბოს თავისი ექსპანსიონისტური მისწრაფებანი და თავისი იგნაციტორიტეტული პოლიტიკის ჩაფუშვა. ისრაელის მთავრობამ უნდა ცნოს არაბული ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობა.

ომმა, რომელიც უკვე სამ წელზე მეტ ხანს გრძელდება, აღნიშნულია განცხადებაში, ცხადყო, რომ სანამ გრძელდება დაპყრობის პოლიტიკა, შეუძლებელია მშვიდობა. ძალის, ოკუპაციისა და ანექსიის პოლიტიკა სავსებით ჩაიშალა.

31 ივლისი

ყოველი მხრიდან

რაზე წერს ვაშინგტონის პრესა

უცხოეთის პრესა აქცენტს სტატიებსა და სხვა მასალებს, მიძღვნილს პოტსდამის შეთანხმების ხელმოწერის 25 წლისთავისადმი, რომელიც 2 აგვისტოს სრულდება. „პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებანი, — ნათქვამია დღეს „ნიოეს დოიჩლანდსა“ და სხვა გერმანულ გაზეთებში ვამოქვეყნებენ ფედერალური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადებაში, — საფუძვლად ედვა ევროპის ხალხთა საერთაშორისო სამართლის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია“. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაში აღმოფხვრილია ნაციზმი და მილიტარიზმი და დამყარებულია მშრომელთა ხელისუფლება. „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით ისტორიაში პირველად წარმოიშვა გერმანული სახელმწიფო, რომელიც ცნობს ევროპაში არსებული საზღვრების სტატუს-კვოსა და ხელშეუხებლობას“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ბაზისთვის კვლავ აქცენტებს ცნობებს, რომლებიც მოწმობენ, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნებში დიდ აღფოთებას იწვევს ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება შანაანსოს სამხრეთ აფრიკის რასისტულ სამხედრო ბაზის ინგლისის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნის შესახებ. „ეს ნაბიჯი, — ნათქვამია „ეროპა“-ში, — ეწინააღმდეგება ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნული ინდიპენდენტობის ბრძოლის ინტერესებს. ეს გადაწყვეტილებები საერთაშორისო სამართლის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია“. ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება აღმოფხვრილია ნაციზმი და მილიტარიზმი და დამყარებულია მშრომელთა ხელისუფლება. „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით ისტორიაში პირველად წარმოიშვა

ატომური დაგომბვის მსხვერპლნი

იაპონია

ტოკიო, 31 ივლისი. (საკდესი) 26 კაცი, რომლებმაც განიცადეს ატომური დაბომბვა, დაიხოცა ხიროსიმის ჰოსპიტალში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში.

მიუხედავად ამისა, რომ იაპონიის ქალაქების ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედიის მომენტიდან 25 წელი გავიდა, იაპონელები რომლებმაც რადიოაქტიური გამოსხივება განიცადეს, დღესაც იხოცებიან.

როგორც კიოდო ეუსინის საგენტო იუწყება, მარტო ხიროსიმის ჰოსპიტალში აღრიცხვაზეა 23.812 კაცი, რომლებიც ატომური დაბომბვის შედეგად დასნეულდნენ.

ესპანეთი

გრანადის ექო

პარიზი, 31 ივლისი (საკდესი). ქალაქ გრანადაში გაფიცულია მშენებელი მუშების ნახევარზე მეტი. ამას იუწყება იუნიონ ფრანსეზ დ' ინფორმასიონის საგაზეთო. მშენებლები გაფიცული არიან ადრეფრე მადრიდში, ბარსელონაში, ხიხონაში, სევილიაში. ისინი მოითხოვენ თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სამუშაო კვირის ხანგრძლივობის შემცირებას.

გრანადაში, სადაც ამას წინათ გაიმართა მშრომელთა მძლავრი დემონსტრაცია და მოხდა პოლიციელებთან შეტაკება, რასაც სისხლისღვრა მოჰყვა, კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. ქალაქის ქუჩებს პოლიციელები პატრულობენ.

გორმანი ცოცხალია?

ბონი, 31 ივლისი (საკდესი). ვენის „დოკუმენტაციის ცენტრის“ ცნობებით, რომელიც ნაცისტ ფაშისტიკეთა ძიებას ეწევა, ჰიტლერული რაიხის ერთ-ერთი მეთაური მარტინ ბორმანი ცოცხალია და ამჟამად სამხრეთ ამერიკაში იმყოფება. როგორც ამ ცენტრისათვის ცნობილი ხდება, ბორმანი ამას წინათ გამოჩნდა ბრაზილიისა და პარაგვაის საზღვრის რაიონში. იგი მარტო არ არის: არსებობს მთელი ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას აძლევს ბორმანსა და სხვა ნაცისტებს თავი აარიდონ სასჯელს.

მიწისძვრა

თეირანი, 30 ივლისი. (საკდესი). 40-მდე კაცი დაიღუპა და 70-ზე მეტი დაშავდა მიწისძვრის შედეგად, რომელიც დღეს დილით თავს დაატყდა ხორასანის პროვინციის ვრცელ რაიონებს. ოფიციალური ცნობების თანახმად მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს ავრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებებმა და საგზაო მეურნეობამ.

ირანის მთავრობა ახორციელებს სასწრაფო ღონისძიებებს დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

წყალდიდობა

ყარაჩი, 30 ივლისი (საკდესი). **წყალდიდობასთან დაკავშირებით კვლავ კრიტიკულია აღმოსავლეთ პაკისტანის მდგომარეობა. მდინარე ჯამნის წყლის დონე 1954 წლის წყალდიდობის რეკორდულ დონეზე უფრო მაღალია, მდინარემ მთლიანად წალეკა ექვსი მეიდროდ დასახლებული სოფელი. მდინარე პადმის ნაპირების ეროზიის შედეგად მთლიანად განადგურდა სამი სოფელი. მდინარემ, რომელმაც გაანგრია დამცავი ჯებირები, დატბორა ქალაქი მუნშიგანი. წყლით დაიფარა აღმოსავლეთ პაკისტანის ვრცელი ფართობები. საბრძოლოდ არის გამზადებული არმია. მაშველი ჯგუფები ხიზნავენ მოსახლეობას. არის მსხვერპლი. ათეულ ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.**

პაკისტანის პრეზიდენტმა იაჰია ხანმა ორი მილიონი რუპია გამოყო დაზარალებულთა დასახმარებლად.

ტაიფუნი

ტოკიო, 31 ივლისი (საკდესი). **ხონსიუს აღმოსავლეთ სანაპიროს თავს დაატყდა ტაიფუნი, რომელმაც წყალდიდობა გამოიწვია ამ კუნძულის ბევრ რაიონში. მხოლოდ ქალაქ ნაგოის რაიონში დაიტბორა 40 ათასზე მეტი სახლი. წყალდიდობის შედეგად არის ადამიანის მსხვერპლი, ზოგიერთ ხაზზე შეწყდა რკინიგზის მოძრაობა.**

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. კ. ბოგომოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვისა და პროფკავშირის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვახტანგ კალსტრატეს-ძე ბოგომოლ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ნ. ჯონუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი ამხ. ალექსი ნესტორის-ძე ჯონუა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. ს. აკოფიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამწერლო მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, პოეტი შოთა სოფრომის-ძე აკოფა დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

კრიზისი გაძნელდა

ზანგი მოსახლეობის მღელვარება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ზანგი მოსახლეობის მასობრივი მღელვარება შეერთებული შტატების სულ ახალ-ახალ რაიონებს მოიცავს. იელისი ყველაზე ადრე ამოეფარა ადამიანური უფლებებისათვის, რასობრივი ჩაგვრის, რეპრესიებისა და პოლიციური ტერორის წინააღმდეგ მრავალტანჯული ზანგი ხალხის ბრძოლის ფრონტზე. ნიუჯერსის, კანზასის, ინდიანის, მიჩიგანის, ოკლაჰომის, პენსილვანიის, ოჰაიოს, მასაჩუსეტსის, კონეტიკუტის, ილინოისის, ტეხასისა და სხვა შტატებიდან მთელი იელისის განმავლობაში მოდიოდა ცნობები ასეთი მღელვარების შესახებ.

ჰეორიაში (ილინოისის შტატი) და ზოგიერთ სხვა ქალაქში გამოაცხადეს საალო წესები. ბევრ ქალაქში პოლიციამ და ჯარისკაცებმა გამოიყენეს იარაღი, ორიან დახოცილნი, დაჭრილია ასობით კაცი, ათასობით დაპატიმრებულია.

ამერიკელ ექიმთა შეერთებულ ტატებში ჩატარებულ [illegible] ბრძოლა გაძლიერდება. ჟურნალი „ტაიმი“ ჩამოთვლის ამერიკის შეერთებულ შტატებში „სოციალური მღელვარებების“ შესაძლებელ ეპიცენტრებს უახლოეს დროში და ასახელებს ბევრ ჩრდილოეთის და შუა-დასავლეთის შტატებს, ასევეთვე ვითარებაა სამხრეთ შტატებშიც. „შავკანიანები სამხრეთში, — წერს ეს ჟურნალი,— უახლოვდებიან პოლიტიკური შეგნების ისეთ დონეს, რომელიც ავბედითად მოგვაგონებს შავკანიანთა მდგომარეობას ჩრდილოეთის გეტოებში რამდენიმე წლის წინათ, როცა დაიწყო დიდ აჯანყებათა ერა“.

ამრიგად, მოსახლეობელია, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს რასობრივი მღელვარებანი, გამწვავდეს სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში. (საკდესი).

ევროპელ ექიმთა ჯგუფი ეწვევა ჩინეთს

ბონი, 31 ივლისი. (საკდესი). **ბონის „დოკუმენტაციის ცენტრის“ ცნობებით, ექვსი ევროპელ ექიმთა ჯგუფი ეწვევა ჩინეთს ოქტომბერში. ჯგუფს ხელმძღვანელობს ბერლინელი ექიმი ფ. ბეგერ-ბეგერ.**

ინდოეთი

ინდოეთის ეროვნული ბანკის ნაციონალიზაციის ბილი

დელი, 31 ივლისი. (საკდესი). **241 ხმით 184 ხმის წინააღმდეგ ინდოეთის პარლამენტის სახალხო (ქვედა) პალატის დეპუტატებმა უარყვეს ინდირა განდის მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი, რომელიც შემოიტანეს გაერთიანებული სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა.**

უნდობლობის ვოტუმის მიზეზს გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ლიდერები ამით ასაბუთებდნენ, თითქოს განდის მთავრობას „უნარი არ შესწევდეს გადაჭრას ინდოეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრობლემები“. ახლანდელი სესიის გახსნის წინ მემარჯვენე ლიდერებს არაერთგზის გამოუქვეყნებიათ განცხადებანი, რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო პარლამენტში მათი მოქმედების პროგრამა. შეგნებული აქვთ რა, რომ ძალა არ შესწევთ ცალ-ცალკე მიადწიონ დასახულ ამოცანებს „ჯან სანგჰის“, „სვატანტრისა“ და „ორგანიზაცია კონგრესის“ ლიდერები მოითხოვდნენ ამ პარტიების საპარლამენტო ბლოკის ჩამოყალიბებას.

ისინი არ მალავდნენ ასეთი აღიარსის მიზანს—გადაეყენებინათ ვანდის მთავრობა. მემარჯვენეთა ასეთი პოზიცია განაპირობა იმან, რომ განდის მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი დემოკრატიული ღონისძიებანი: რეაქციული ძალები მტრულად შეხვდნენ ინდოეთის წამყვანი კომერციული ბანკების ნაციონალიზაციას, სამრეწველო ლიცენზირების პოლიტიკას, რომლის მიზანია მონოპოლიათა ზრდის შეზღუდვა, სახელმწიფო სექტორისათვის ასიგნებათა გადიდება, ინდოეთში მოკალათებული დასავლეთის ნავთობის მონოპოლიათა წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

მთელ ამ პროგრესულ გარდაქმნებს, აგრეთვე კანონპროექტებს, რომლებიც უნდა განიხილოს და მიიღოს ახლანდელმა სესიამ, კერძოდ ინდოეთის ყოფილი მთავრებისათვის პენსიებისა და პრივილეგიების გაუქმების შესახებ, კონსტიტუციაში შესწორებათა შეტანის შესახებ, რათა იძერძალოს შოვინიზმისა და რელიგიურ-თემური შფოთის პროპაგანდა, მხარი დაუჭირეს ძვეყნის ფართო მასებმა. მემარჯვენეები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ მათ განხორციელებას. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ტაქტიკური მეთოდი იყო უნდობლობის ვოტუმი, რომელიც წამოაყენა გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ და რომელსაც ძხარი დაუჭირეს „ჯან სანგჰმა“, „ორგანიზაცია კონგრესმა“ და მთელმა რიგმა სხვა პარტიებმა. მაგრამ მემარჯვენეთა ეს ცდა ჩაიფუშა. დეპუტატებმა გადაჭრით დაუჭირეს მხარი განდის მთავრობის პროგრამულ კურსს.

კენჭისყრამ პარლამენტში დამაჯერებლად ცხადყო, რომ ინდირა განდისა და მისი მომხრეების პოზიციები მტკიცეა. ასე განმარტავს ინდოეთის დღევანდელი პრესა რეაქციასთან დემოკრატიული ძალების ბრძოლის მორიგი რაუნდის შედეგებს.

ინდონეზიის ეკონომიკა

ჯაკარტა, 31 ივლისი. (საკდესი). **ინდონეზიის ეროვნული ბანკის ბანკიერ ანგარიშებზე

მაღალი შეფასება

სამ აგვისტოს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ამთავრებს გასტროლებს ვოლგოგრადში. ახლა შეიძლება სიამაყით აღვნიშნოთ, რომ სტალინგრადის მიწაზე ქართველ მსახიობთა გამოსვლამ დიდი წარმატებით ჩაიარა და ჩვენმა ხელოვნებამ ბევრი თავყანისმცემელი შეიძინა. გმირი ქალაქის მაყურებელი მჭუხარე ტაშით ხვდებოდა ყველა სპექტაკლს. შთაბეჭდილებათა წიგნი შეივსო უამრავი გულთბილი, მადლობით აღსავსე სტრიქონებით. ვოლგოგრადის პრესა ვრცელი რეცენზიებით ეხმაურებოდა ქართველი სტუმრების დადგმებს.

თავის მხრივ ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ჯოლეტგიმა ახლო კონტაქტები დაამყარა სხვადასხვა საწარმოთა მშრომელებთან. სახელდახელო მიტინგების შემდეგ იმართებოდა კონცერტები ჩვენი მსახიობების მონაწილეობით, რომლებსაც მასპინძლები ყოველთვის აღტაცებით ხვდებოდნენ.

მამაის ყორღანზე, იქ, სადაც განისვენებენ სტალინგრადის გმირი დამცველები, ქართველმა სტუმრებმა დაუვიწყარი კონცერტი გამართეს. აქ დიდებულად აჟღერდა უკვდავი ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს უთუოდ დაგინტერესებს, როგორ გამოეხმაურა ქართველი მსახიობების გამოსვლებს „ვოლგოგრადსკაია პრავდა". ავტორი რეცენზიისა „სამი სპექტაკლი", გ. სკორობოგატოვა მაღალ შეფასებას აძლევს თბილისელთა საოპერო სპექტაკლებს. მათ შორის ზ. ფალიაშვილის „დაისს", როსინის „სევილიელ დალაქს", პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანს".

ავტორს „დაისი" მიაჩნია ერთ-ერთ ბრწყინვალე საოპერო სპექტაკლად, რომელიც გვაღელვებს დიდი მუსიკალური და აქტიორული ემოციურობითა და ოსტატობით. კერძოდ იგი წერს:

— „გმირების სულიერი დრამა ვითარდება ხალხური სიმღერებისა და ცეკვების მომხიბლავ ფონზე, რომელიც „დაისის" მუსიკის აძლევს არაჩვეულებრივად თვითმყოფ სილამაზეს და ეროვნული კოლორიტით ასხივოსნებს საერთოდ სპექტაკლს. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს მასობრივი სცენები... დიდებულ სანახაობას შესანიშნავად ერწყმის მხატვარ ი. სუმბათაშვილის დეკორაციები და კოსტიუმები.

მრავალრიცხოვანი არიები და დუეტები, რომლებიც ფსიქოლოგიურად სწორად წარმოსახავს და გადმოგვცემს გმირების სულიერ განცდებს, მომღერლებს საშუალებას აძლევს ფართოდ გადაგვიშალონ თავიანთი ვოკალური შესაძლებლობანი".

ავტორი განსაკუთრებით ჩერდება მთავარი პარტიების შემსრულებლებზე, რომლებმაც ვოლგოგრადელ მაყურებლებს დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭეს. „ქართული ვოკალური სკოლის ნიჭიერი წარმომადგენლების ოსტატობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა", — აღნიშნავს იგი

„ვოლგოგრადსკაია პრავდის" ფურცლებზე

ავტორი რესპუბლიკის სახალხო არტისტის მედეა ამირანაშვილის შესახებ:

„ძლიერად, დიდებულად ჟღერს მომღერლის ხმა. მისი მარო გვგატყობინებს და გვაღელვებს. საკმარისია ერთხელ ნახოთ იგი ამ როლში და დიდხანს არ დაგავიწყდებათ. მ. ამირანაშვილს ლამაზი, ხავერდოვანი ტემბრის ხმა აქვს. ამ რთული პარტიის შესრულებით მან გვაჩვენა ახალგაზრდა ქალის ტრაგედიის უფაქიზესი ნიუანსები. თავისუფლად, ლაღად წარმართეს თავიანთი პარტიები ნიჭიერმა მომღერლებმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. მურადოვამ (ნანო), კ. ფირცხალავამ (მალხაზი), რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შ. კიკნაძემ (კიაზო)".

შემდეგ ავტორი დასძენს, რომ „დაისის" მუსიკის განსაკუთრებული მელოდიური სიმდიდრე, ლირიკულობა და პოეტურობა, სპექტაკლის ეროვნული სტილით მხატვრული გადაწყვეტა და მაღალი საშემსრულებლო კულტურა ქართული ოპერის გამარჯვების ქვაკუთხედია.

— მრავალფეროვან, სისხლსავსე ხალხური ტემპერამენტით და სულიერი სილამაზით მადლმოსილ სპექტაკლად წარმოგვისახეს ქართველმა მსახიობებმა „დაისი".

„სევილიელი დალაქის" ქართულმა ინტერპრეტაციამ დიდი სულიერი კმაყოფილება მიანიჭა ვოლგოგრადელებს. რეცენზიაში ლაპარაკია იმაზე, თუ რა ბრწყინვალედ გაართვეს თავი ურთულეს პარტიებს ქართველმა მომღერლებმა. „შესანიშნავად ელერდა ორკესტრი რესპუბლიკის სახალხო არტისტის, პროფესორ ვ. ფალიაშვილის დირიჟორობით", — წერს ავტორი.

რეცენზენტი მიმოიხილავს სპექტაკლ „ჩიო-ჩიო-სანს". „დიდი ხანია არ მოგვისმენია „ჩიო-ჩიო-სანი" ასეთი დიდებული შესრულებით. ამ საღამოს მადამ ბატერფლაის პარტიას ასრულებდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლამარა ჭყონია, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ბატერფლაი. იგი დიდი ოსტატია, რომელიც ფლობს ვოკალური ხელოვნების საიდუმლოებას და ამავე დროს ბრწყინვალე დრამატული მსახიობიც არის". ასევე სოტბას ასხამს რეცენზენტი დანარჩენ შემსრულებლებს.

ჩვენი თეატრის საბალეტო სპექტაკლ „ლორდას" ეძღვნება ვ. ზუბკოვსკაიას რეცენზია „ღრმა, ამაღელვებელი შთაბეჭდილება".

„ეროვნული ელემენტებით ბოლოს ბოლოს ეროვნული ეროვნული ეროვნული